სსიპ „სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“

ს ე ნ ა ტ ი

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
რუსთაველის ქ. №53

ტელ/ფაქსი: (+995 32) 27 48 50
ელ.ფოსტა:info@bsma.edu.ge

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №13/5

ქ. ბათუმი 29 ივლისი 2020 წელი

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტუდენტებისათვის დამატებითი საზაფხულო სემესტრის დადგენის შესახებ

„მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის 2[1] პუნქტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 10 ივლისის №1-1/1439 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდების" მე-7 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-8 მუხლის საფუძველზე სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატმა

გადაწყვიტა:

1. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის დადგინდეს დამატებითი საზაფხულო სემესტრი.
2. დამატებითი საზაფხულო სემესტრში F შეფასების მქონე სტუდენტებს მიეცეთ არაუმეტეს 10 კრედიტის ოდენობით (ერთი 10 კრედიტიანი, ან ორი 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი) დავალიანებული სასწავლო კურსების რეგისტრაციისა და ათვისების უფლება.
3. დამატებით საზაფხულო სემესტრისათვის აკადემიური და ფინანსური რეგისტრაცია განხორციელდეს დისტანციურად (ელექტრონულად), მიმდინარე წლის 07 აგვისტოდან 12 აგვისტოს 9:00 საათამდე პერიოდში.
4. დამატებით საზაფხულო სემესტრში სწავლის დაწყების საფუძველია შესაბამისი სასწავლო ჯგუფების შედგენა. ფაკულტეტმა უზრუნველყოს სტუდენტთა ინფორმირება ჯგუფების შედგენისა და სასწავლო პროცესის დაწყების შესახებ ან სასწავლო პროცესის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ (თუ არ შედგა ჯგუფი), რის შესახებაც ინფორმაცია სტუდენტს მიეწოდოს არაუგვიანეს მიმდინარე წლის 12 აგვისტოს 9:00 საათამდე. აღნიშნულ შემთხვევაში სტუდენტი უფლებამოსილია გაიუქმოს ფინანსური რეგისტრაცია და დაიბრუნოს მის მიერ გადახდილი სწავლის საფასური.
5. სწავლება და სტუდენტთა შეფასება განხორციელდეს დისტანციურად, სასწავლო კურსის სილაბუსით დადგენილი პროგრამის შესაბამისად;
6. გადაწყვეტილება გაცნობის მიზნით და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ნავიგაციის ფაკულტეტს, საინჟინრო ფაკულტეტს, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტსა და

სტუდენტთა რეგისტრაციისა და მობილობის დეპარტამენტს. აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულებს დაევალოთ სტუდენტთა ინფორმირება სენატის წინამდებარე გადაწყვეტილების შესაბამისად, დამატებითი საზაფხულო სემესტრის დაადგენის შესახებ.

7. რექტორის აპარატმა უზრუნველყოს ინფორმაციის განთავსება აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში.

8. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

სენატის თავმჯდომარე,

რექტორი **ირაკლი შარაბიძე**